საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
სახაზინო სამსახური

ბრძანება N 5

02/03/2018

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №238 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დებულების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის ხელშეწყობისა და აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ცოტნე ყავლაშვილი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ზურაბ თოლორდავა - ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

სოფიო ნემსაძე - მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლევან თოდუა - სახელმწიფო სესხების და სადეპოზიტო ოპერაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

დავით გამყრელიძე - ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნათია ხორგუაშვილი - ანგარიშსწორების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლელა პატარაია - ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლელა ყურაშვილი - ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის აღრიცხვის მეთოდოლოგიის სამმართველოს ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი.

მუხლი 2. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვოთ: **გაიოზ თალაკვაძეს** – ქ. თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, **ფირან წაქაძეს** – ქ. თბილისის მერიის მთავარი ბუღალტერი, **ლევან კავთიაშვილს** – ქ. რუსთავის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, **დავით ნიშნიანიძეს** - ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, **არჩილ ვანაძეს** - ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილე და **დავით**

ხოსრუაშვილს - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის თავმჯდომარე.

მუხლი 3. სამუშაო ჯგუფის ფუნქციებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის პროცესის გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების შემუშავება;

ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის, სახაზინო მომსახურების პრინციპების და აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების შემუშავება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრების გამართვა;

დ) სხვა ფუნქციების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და საერთაშორისო სტანდარტებთან აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისობას.

მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და წევრები. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები ეცნობებათ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს.

მუხლი 5. საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები გაითვალისწინება აღრიცხვის და ანგარიშგების არსებულ მეთოდოლოგიაში ცვლილებების განხორციელებისას.

მუხლი 6. სამუშაო ჯგუფის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის აღრიცხვის მეთოდოლოგიის სამმართველო, რომელიც ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრების დაგეგმვას, მომზადებას, გამართვას და საოქმო გადაწყვეტილებების გაფორმებას.

მუხლი 7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ცოტნე ყავლაშვილი

სახაზინო სამსახურის უფროსი